



გადაწყვეტილება

შპს „მულტილინგვისტის“ (ს/ნ 406372811) 2026 წლის 06 თებერვლის
N01/1203 საჩივრის და 2026 წლის 25 თებერვლის N01/1831
დაზუსტებული საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის
თქმის შესახებ

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. მომჩივნის პოზიცია და საქმის მოკლე შინაარსი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2026 წლის 02 თებერვალს წარმოდგენილ იქნა შპს „მულტილინგვისტის“ (ს/ნ 406372811) საჩივარი (რეგ. N01/975), რომლის ფორმალური შემოწმების ეტაპზე გამოვლინდა ხარვეზი და მომჩივანს ეთხოვა მისი გამოსწორება.¹

2026 წლის 06 თებერვალს სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შპს „მულტილინგვისტის“ (ს/ნ 406372811) კორექტირებული საჩივარი (რეგ. N01/1203) მოპასუხეების: შპს „ორანსლეთ ჰაბი“ (ს/ნ 438120383), შპს „თიემენ გრუპი“ (ს/ნ 416380918), შპს „ნიუ თრანსლეთი“ (ს/ნ 416352574) და შპს „ვორდსფეისი“ (ს/ნ 400398333) - მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-6 (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 (კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებები) მუხლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.

მოგვიანებით, 2026 წლის 25 თებერვალს მომჩივანმა სააგენტოში წარმოადგინა დაზუსტებული საჩივარი (რეგ. N01/1831), რომელშიც დაამატა კანონის 11³ მუხლი და მე-10 მუხლის (ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღვევა) ბ)

¹ სააგენტოს 2026 წლის 03 თებერვლის N02/708 წერილი



ქვეპუნქტი. ამასთან, მე-10 მუხლის ნაწილში მომჩივანმა მოპასუხედ განსაზღვრა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

საჩივარში აღნიშნულია, რომ შპს „მულტილინგვისტი“ ახორციელებს საქმიანობას მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების სფეროში, საქართველოს მასშტაბით. 2022 წლიდან კომპანია აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვებში.

მომჩივანი მიუთითებს, რომ მოპასუხე კომპანიები ეწევიან იდენტურ - სათარჯიმნო-მთარგმნელობით საქმიანობას, ტენდერებში მონაწილეობენ ერთობლივი ინტერესით და იმართებიან ერთი და იმავე პირების მიერ. მისივე განმარტებით, აღნიშნული კომპანიები ფუნქციონირებენ „სარეზერვო კომპანიების“ პრინციპით - ტენდერში ერთ-ერთი კომპანიის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, მონაწილეობას აგრძელებს მეორე. მომჩივანი ასევე ასახელებს კონკრეტულ ტენდერებს, რომლებშიც აღნიშნულმა კომპანიებმა მიიღეს მონაწილეობა.

მომჩივანი აცხადებს, რომ მოპასუხე კომპანიები ტენდერებში იყენებენ ჩინური ენის თარჯიმნის მონაცემებს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პირს არ გააჩნია სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, წერილობითი თარგმნის კვალიფიკაცია და შესაბამისი სერტიფიკატი. მომჩივანის განმარტებით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავადაც თანამშრომლობდა აღნიშნულ თარჯიმანთან, თუმცა მოგვიანებით დაადგინა, რომ იგი არ აკმაყოფილებდა ტენდერში მონაწილეობისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, მომჩივანი თვლის, რომ მოპასუხე კომპანიების ქმედებები წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის უხეშ დარღვევას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციას.

მომჩივანი ასევე აცხადებს, რომ მოპასუხე კომპანიების (შპს „თრანსლეთ ჰაბი“ და შპს „თიემენ გრუპი“) წარმომადგენლები ახორციელებენ ზეწოლას თარჯიმნებზე, რათა მათ არ გასცენ ტენდერის დასაზუსტებლად საჭირო თანხმობა/დასტური სხვა პრეტენდენტებისათვის.

მომჩივანის მითითებით, ანალოგიური ხასიათის ზეწოლა განხორციელდა არაბული ენის თარჯიმან , რომელმაც თავდაპირველად თანხმობა განაცხადა ერთ-ერთ ტენდერში² მონაწილეობაზე. თუმცა, მომჩივანის ვარაუდით, დამსაქმებლების მხრიდან შესაძლო ზეწოლის შედეგად, მან ტენდერის დასრულებამდე რამდენიმე საათით ადრე მოითხოვა სერტიფიკატის მოხსნა.

შპს „მულტილინგვისტის“ განმარტებით, სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, შპს „თრანსლეთ ჰაბის“ და შპს „თიემენ გრუპის“ ხელმძღვანელი პირები

² NAT250019916

საქმიანობას ახორციელებენ ერთ მისამართზე მდებარე ოფისიდან და ტენდერებში მონაწილეობას იღებენ კოორდინირებულად. მისი განცხადებით, ერთ-ერთი კომპანიის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში მონაწილეობას აგრძელებს მეორე კომპანია, რაც, მომჩივანის შეფასებით, შესაძლოა მიუთითებდეს კომპანიებს შორის კოორდინირებულ ქცევაზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივნის პოზიციით, მოპასუხეთა ქმედებები მიუთითებს შემსყიდველი ორგანიზაციების შეცდომაში შეყვანის, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნიშნებზე.

მომჩივანმა განსაზღვრა შესაბამისი ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული ფარგლები და მიუთითა, რომ დავა ეხება პროფესიული თარგმნისა და ენობრივი მომსახურების ბაზარს, რომელიც მოიცავს წერილობით და ზეპირ თარგმნას, აგრეთვე მათთან დაკავშირებულ მომსახურებებს. ხოლო ბაზრის გეოგრაფიული საზღვარი მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას.

1.2. მოპასუხეების პოზიცია

სააგენტოს წერილებით³ საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად დადგენილი წესით გადაეგზავნათ მოპასუხეებს მათი პოზიციების წარმოსადგენად.

1.2.1. მოპასუხე ეკონომიკური აგენტების პოზიცია

სააგენტოში წარმოდგენილ კორესპონდენციებში⁴ შპს „ნიუ თრანსლეიშენი“, შპს „თიემენ გრუპი“ და შპს „ვორდსფეისი“ აღნიშნავენ, რომ არ ეთანხმებიან საჩივარს. მათი განცხადებით, საჩივარი არის დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, არ შეიცავს შესაბამის არგუმენტაციას და სწორ ინფორმაციას.

განსახილველ საჩივართან დაკავშირებით სააგენტოში ასევე წარმოდგენილ იქნა ერთ-ერთი მოპასუხის - შპს „თრანსლეით ჰაბის“ (შემდგომში - მოპასუხე/შპს „თრანსლეით ჰაბი“) პოზიცია⁵.

მოპასუხის მითითებით, მის წინააღმდეგ წარმოდგენილი საჩივარი ბუნდოვანია და არ შეიცავს კონკრეტულ მითითებებს იმის შესახებ, თუ რომელი უფლება შეიზღუდა ან რა

³ სააგენტოში შემოსული წერილები: რეგ. N02/883; რეგ. N02/882; რეგ. N02/884; რეგ. N02/885; რეგ. N02/1626

⁴ რეგ. N01/1614, 18.02.2026; რეგ. N01/1613, 18.02.2026; რეგ. N01/1616, 18.02.2026

⁵ რეგ. N01/1574, 17.02.2026

ფორმით განხორციელდა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია შპს „თრანსლეთ ჰაბის“ მხრიდან.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია მიმოწერის ამსახველი ეკრანის ანაბეჭდები, რომლებიც, მისი შეფასებით, მიუთითებს იმაზე, რომ თავად საჩივრის ავტორი ახორციელებს ზეწოლას თარჯიმნებზე და ცდილობს, ხელი შეუშალოს მათ სხვა კონკურენტ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

შპს „თრანსლეთ ჰაბი“ უარყოფს მომჩივნის მტკიცებას, რომ ოთხივე მოპასუხე ურთიერთდაკავშირებულ კომპანიებს წარმოადგენენ და მათ ერთი და იგივე პირები ხელმძღვანელობენ.

მოპასუხე არ ეთანხმება შპს „მულტილინგვისტის“ მოთხოვნებს და აღნიშნავს, რომ საჩივარში მითითებულია რამდენიმე ტენდერი, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, კონკრეტულად რომელ ტენდერში და რა ფორმით დაირღვა მომჩივანის უფლებები. ამასთან, საჩივარი არ შეიცავს შესაბამის სამართლებრივ და ფაქტობრივ დასაბუთებას. მოპასუხის განმარტებით, საჩივარში მითითებული გარემოებებიდან ირკვევა, რომ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობის პროცესში თავად მომჩივანმა დააფიქსირა ყველაზე დაბალი საფასო წინადადება, რაც, მისი შეფასებით, ეწინააღმდეგება იმ არგუმენტს, რომლის თანახმადაც მოპასუხე ტენდერებში მონაწილეობას ახორციელებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გზით და აფიქსირებს არაადეკვატურად დაბალ ფასს.

საჩივარში ასევე ნახსენებია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოცხადებული ტენდერი⁶, რომელთან დაკავშირებითაც მომჩივანი მიუთითებს, რომ შპს „თრანსლეთ ჰაბის“ მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შედეგად არაბული ენის თარჯიმანმა მოითხოვა მისი სერტიფიკატის მოხსნა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოპასუხე განმარტავს, რომ მომჩივანის დისკვალიფიკაცია აღნიშნული ტენდერიდან განპირობებული იყო ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შეუსაბამობით. აღნიშნული გარემოება ასახულია აღსრულების ეროვნული ბიუროს სატენდერო კომისიის 2026 წლის 23 დეკემბრის №5 ოქმში. მოპასუხის მითითებით, აღნიშნული ოქმიდან ირკვევა, რომ დისკვალიფიკაცია არ უკავშირდებოდა არაბული ენის თარჯიმნის მომსახურებაზე უარის ფაქტს, როგორც ამას მომჩივანი ამტკიცებს. დისკვალიფიკაცია მოხდა უკრაინული ენის თარჯიმნის კვალიფიკაციის დოკუმენტაციის სატენდერო მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო.

ამასთან, მოპასუხე აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილია მიმოწერის ამონარიდები (ეკრანული ანაბეჭდები) თარჯიმან , საიდანაც იკვეთება, რომ

⁶ NAT250019916

თარჯიმანი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდა სათარჯიმნო მომსახურების გაწევას. მოპასუხის შეფასებით, წარმოდგენილი მიმოწერის შინაარსიდან ასევე იკვეთება, რომ თავად საჩივრის ავტორი ახორციელებდა ზეწოლასა და მუქარას თარჯიმანზე.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ საჩივარში წარმოდგენილი გარემოებები ურთიერთსაწინააღმდეგო და არათანმიმდევრულია. კერძოდ, საჩივრის ავტორი ამტკიცებს, რომ ჩინური ენის თარჯიმანი არ ფლობდა შესაბამის ენას, თუმცა ამავე დროს თავადვე მიუთითებს, რომ 2024 წლის აგვისტოში აღნიშნული თარჯიმანი დაუკავშირდა მომჩივანს და მისი კანდიდატურა წარდგენილ იქნა მომსახურების გასაწევად შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტში, ხოლო 2024 წლის ოქტომბერში - შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტში, რაც აშკარად ეწინააღმდეგება მისივე პოზიციას თარჯიმნის არაკვალიფიციურობის შესახებ.

ამასთან, მოპასუხე სადავოდ მიიჩნევს საჩივარში მითითებულ გარემოებას, თითქოს ამავე თარჯიმანმა ჩინური ენის სერტიფიკატი მხოლოდ 2024 წლის ნოემბერში მიიღო. მისი განმარტებით, საჩივრის ავტორის მტკიცება, რომ აღნიშნულ პირს არ გააჩნდა არც პრაქტიკული გამოცდილება და არც შესაბამისი ენობრივი უნარები, არ შეესაბამება სინამდვილეს და მოკლებულია ლოგიკურ საფუძველს. მოპასუხე აღნიშნავს, რომ ამ თარჯიმანს შესაბამისი სერტიფიკატი 2024 წლის ნოემბრამდეც გააჩნდა⁷, რის გამოც საჩივარში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მისი შეფასებით, არათანმიმდევრული და ურთიერთგამომრიცხავია.

მოპასუხე ასევე უთითებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, „სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულების გათვალისწინების შემთხვევაში სატენდერო კომისია პრეტენდენტისგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენას, თუ მის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული წინადადების საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით ნაკლებია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე“. მოპასუხე ასევე ეყრდნობა აღნიშნული წესის 28-ე მუხლს, რომელიც არეგულირებს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების დამატებით მოთხოვნას ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში, თუ ფასის კლება 20 პროცენტს აღემატება, მათ შორის - დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნის წარდგენის ვალდებულებას.

⁷ მოპასუხემ წარმოადგინა თარჯიმნის მიერ მანდარინის კურსების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი

მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული რეგულაციების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული ფასი გონივრულ ზღვარს არსებითად ჩამოუვარდება, იგი ობიექტურად ვერ შეძლებს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის სათანადო დასაბუთებას, მათ შორის დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნის წარმოდგენას.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ შპს „თრანსლეთ ჰაბი“ და შპს „თიემენ გრუპი“ ურთიერთდაკავშირებული კომპანიებია, რასაც ასაბუთებს იმ გარემოებით, რომ ერთ-ერთ ელექტრონულ ტენდერში⁸ მათ მიერ წარმოდგენილი მთარგმნელთა/თარჯიმანთა ნაწილი იდენტურია. მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული საფუძვლით საჩივარი წარდგენილ იქნა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში. საბჭომ დაადგინა, რომ მომჩივნის პოზიცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილე კომპანიებს – შპს „თრანსლეთ ჰაბსა“ და შპს „თიემენ გრუპს“ შორის ურთიერთდამოკიდებულების არსებობის შესახებ ეფუძნება მხოლოდ ვარაუდს და არ არის გამყარებული სათანადო მტკიცებულებებით. საბჭოს მითითებით, „მხოლოდ ის გარემოება, რომ ზემოხსენებული ორი კომპანიის მიერ წინამდებარე ტენდერში წარდგენილი თარჯიმნების უმეტესობა იდენტურია (ასეთის დადასტურების შემთხვევაშიც) ვერ გახდება პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის დადასტურების საფუძველი“. მოპასუხის განმარტებით, მომსახურების სფეროში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, თარჯიმნები, როგორც დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელი პირები, მომსახურებას ხშირად უწევენ ერთზე მეტ კომპანიას ერთდროულად ან სხვადასხვა პერიოდში. შესაბამისად, ის გარემოება, რომ კონკრეტული თარჯიმანი თანამშრომლობს შპს „თრანსლეთ ჰაბთან“, თავისთავად არ გამორიცხავს მის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევას სხვა სუბიექტებისთვისაც, მათ შორის შპს „მულტილინგვისტისთვის“ და აღნიშნული ფაქტი ვერ შეფასდება კომპანიებს შორის ურთიერთდაკავშირებულობის დამადასტურებელ გარემოებად.

1.2.2. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პოზიცია

განსახილველ საჩივართან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილ კორესპოდენციაში⁹ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო უთითებს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმწოდებლის შერჩევა და მასთან ხელშეკრულების დადება წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილებას. ამასთან, იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „პასუხისმგებლობა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის

⁸ NAT250020168

⁹ რეგ. N01/2353, 13.03.2026

მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას. ამავდროულად, საგულისხმოა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 15¹ მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, სატენდერო კომისია ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო უთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და სატენდერო პირობებს ამტკიცებს სატენდერო კომისია. იმავე წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი „ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, სატენდერო პირობებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აღნიშნავს, რომ საჩივარში მითითებულ შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით – „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხრიდან დაშვებულ იქნა ქმედებები, რომლებიც არსებითად იწვევს კონკრეტული ეკონომიკური აგენტებისთვის უპირატესობის მინიჭებას. აღნიშნული გამოიხატება უკანონო ქმედებების დაშვებაში, შესაძლო დარღვევებზე რეაგირების არქონასა და მიუხედავად გამოვლენილი გარემოებებისა, მომჩივნის მიერ დასახელებულ მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმებაში...“ სახელმწიფო შესყიდვის სააგენტო არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს.

წარმოდგენილ კორესპორდენციაში ასევე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეისწავლის აღნიშნულ საკითხს და საჭიროების შემთხვევაში, განახორცილებს სათანადო რეაგირებას.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს „დომინანტურ მდგომარეობას“. დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, კი, აკრძალულია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხოლო ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლების ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციაზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, კერძოდ:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;

გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;

დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება:

ა) კავშირის, ასოციაციის, გაერთიანების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურის შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებას ან შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისთვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა ან არსებული სახელმწიფო სტრუქტურისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კანონის მე-11³ მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. ხოლო არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა ეკონომიკური აგენტის ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტისა და მომხმარებლის ინტერესებს, მაგალითად:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის მეშვეობით) საქონლის თაობაზე ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რათა მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს ან უგულვებელყოს მომხმარებლის ინტერესები;

ზ) ბოიკოტისკენ მოწოდება.

2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს აღნიშნულ ვადაში გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ მატერიალური დასაშვებობის შემოწმებისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე ანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძველები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. ამდენად, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია სააგენტოს გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. რაც შეეხება საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველებს, ისინი გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33² მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2.3. ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა კონკურენციის სამართალში

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ურთიერთდამოკიდებული პირები არიან პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან/და მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან:

ა) პირი, რომელიც არის ერთი ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და იმავდროულად სხვა ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია, რაც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი (კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის „ლ.ა“ ქვეპუნქტი);

ბ) პირი, რომელიც არის ერთი ეკონომიკური აგენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და იმავდროულად ფლობს სხვა ეკონომიკური აგენტის ხმის უფლების მქონე აქციების/წილის ისეთ ოდენობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი (კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის „ლ.ბ“ ქვეპუნქტი);

გ) პირი, რომელიც ფლობს ერთი ეკონომიკური აგენტის მნიშვნელოვან ხმის უფლებას და იმავდროულად – სხვა ეკონომიკური აგენტის მნიშვნელოვან ხმის უფლებას, რაც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ამ ეკონომიკური აგენტის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლი (კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის „ლ.გ“ ქვეპუნქტი);

დ) საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ურთიერთდამოკიდებული პირები (კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის „ლ.დ“ ქვეპუნქტი).

აქვე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ურთიერთდამოკიდებულ პირთა ჩამონათვალს ამავე კოდექსის მე-19 მუხლი განსაზღვრავს, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილი კი ადგენს, თუ რა კავშირის მქონე პირები შესაძლოა ჩაითვალოს ურთიერთდამოკიდებულ პირებად. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

- ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
- ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
- გ) პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;
- დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს;
- ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;
- ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;
- ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;
- თ) პირები ნათესავები არიან;
- ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან.

2.4. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა

ეროვნულ დონეზე სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას არეგულირებს საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულება, უზრუნველყოს ჯანსაღი კონკურენცია, გამომდინარეობს არა მხოლოდ კონკურენციის, ასევე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობიდანაც.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას; სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას; სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომისა და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფას; სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისთვის განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები. საკვალიფიკაციო მონაცემთა შერჩევის წესი დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის

წყვეტილი მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა არის ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა ამავე კანონით განსაზღვრული სახსრებით - რომელთა შორისაცაა იმ საწარმოს სახსრები, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისთვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი საწარმოებისა და მუნიციპალიტეტების წინადადებათა საფუძველზე. საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალური წესის დაუდგენლობის შემთხვევაში შესყიდვა უნდა განხორციელდეს ამ კანონის შესაბამისად.

ამასთან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ზოგადი მიმოხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის

შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით საჩივრის ყოველმხრივი, კომპლექსური ანალიზის შედეგად.

მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო მოკვლევის დაწყების საფუძვლის შემოწმების მიზნით უფლებამოსილია მომჩივნისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საბოლოოდ, ფასდება მომჩივნის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ნებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე, შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ.¹⁰

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება.¹¹ ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ

¹⁰ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 09 აგვისტოს №04/121 გადაწყვეტილება („სადაზღვევო კომპანია უნისონის საქმე“) გვ. 10

¹¹ Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), §11

საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული.¹² მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება.¹³

შპს „მულტილინგვისტის“ საჩივარში საუბარია კანონის მე-6, მე-7, მე-10 და მე-11³ მუხლებით გათვალისწინებულ დარღვევებზე. შესაბამისად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა თითოეულ მუხლთან მიმართებაში შეფასდეს არსებული პრეტენზიის დასაბუთებულობა და გონივრული ეჭვის წარმოშობის საკითხი.

წარმოდგენილ საჩივარში მომჩივანი ასევე მიუთითებს შრომითი კოდექსის კონკრეტული მუხლების დარღვევაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, მისი მოქმედება შრომით ურთიერთობებზე არ ვრცელდება. შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეფასება სააგენტოს კომპეტენციას არ განეკუთვნება და საჩივრის აღნიშნული ნაწილი არ განიხილება.

3.2. შესაბამისი ბაზარი

კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენცია არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. ამ განმარტებიდან გამომდინარე, კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

შესაბამისი ბაზარი არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შექმნის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.¹⁴ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული

¹² იქვე §12

¹³ ECJ Case T-24/90, 18.09.1992, §77

¹⁴ კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების (შემდგომში - ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები) მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.¹⁵

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით.

მომჩივანი აპელირებს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ჯგუფურ დომინანტურ მდგომარეობაზე შესაბამის ბაზარზე და აღნიშნავს, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი აქვს სახელმწიფო შესყიდვებში, კერძოდ, ელექტრონულ ტენდერებში სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიწოდების პროცესში არასამართლიანი ფასებით ოპერირებასა და ამავე შესყიდვებში სხვა არასამართლიანი ქმედებების განხორციელებას, რაც წარმოადგენს დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და კარტელური შეთანხმების არსებობას.

3.2.1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები

სააგენტო აღნიშნავს, რომ როგორც მომჩივანი, ასევე, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ მიწოდებული - სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურება, ზოგადად, წარმოადგენს მომსახურების იმგვარ კატეგორიას, რომელიც გამოყენებულია როგორც

¹⁵ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 8.1.2.

საჯარო დაწესებულებების, ასევე, კერძო კომპანიების, ორგანიზაციების და ფიზიკური პირების მიერ.

სახელმწიფო შესყიდვებთან მიმართებით, სააგენტო განმარტავს, რომ თითოეულ დასრულებულ ტენდერს ყველა შემთხვევაში ჰყავს მხოლოდ ერთი გამარჯვებული. შესაბამისად, ტენდერის დასრულების შემდეგ ხელშეკრულება ფორმდება ერთ კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტთან და გამარჯვებულ სუბიექტს გააჩნია არათუ დომინანტური მდგომარეობა, არამედ, სატენდერო პირობების შესრულების ექსკლუზიური უფლება.

სააგენტო განმარტავს, რომ ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას, პირველ რიგში, შესაბამისი ბაზარი უნდა განისაზღვროს ისე, რომ ეკონომიკური აგენტის წინაშე მდგარი კონკურენტული შეზღუდვები, ანუ მოთხოვნისა და მიწოდების მხარის ჩანაცვლება რაც შეიძლება ზუსტად იყოს განსაზღვრული. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ასევე უზრუნველყოფს ერთმანეთის კონკურენტი ეკონომიკური აგენტების სწორ იდენტიფიცირებას, რაც ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების ხარისხის დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სათარჯიმნო და მთარგმნელობით მომსახურებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები ცხადდება სამ სახეობად: მხოლოდ სათარჯიმნო მომსახურება, მხოლოდ მთარგმნელობითი და ორივე მომსახურება ერთად - ანუ შერეული მომსახურება. აქვე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თავად სახელმწიფო შესყიდვებში, უმეტეს შემთხვევაში ხდება სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების გაერთიანება და ერთი ტენდერის სახით გამოცხადება. ასევე, ამ მომსახურების გამწევ აქტიურ სუბიექტთა უმრავლესობა, მათ შორის მომჩივანი და მოპასუხე კომპანიებიც, ახორციელებს ორივე სახის (მთარგმნელობითი და სათარჯიმნო) მომსახურების მიწოდებას.

ამდენად, მოპასუხე ეკონომიკური აგენტები წარმოადგენენ უცხო ენების სათარჯიმნო-მთარგმნელობითი მომსახურების ბაზარზე ოპერირებად სუბიექტებს და მათი სამეწარმეო საქმიანობის ძირითად სფეროს სწორედ აღნიშნული მომსახურების გაწევა წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ტენდერები გამოცხადებული იყო სწორედ ამ მომსახურების შესყიდვის მიზნით, შესაბამისი სასაქონლო ბაზარი უნდა განისაზღვროს როგორც სახელმწიფო შესყიდვებში უცხო ენების სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების ბაზარი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტო შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად ადგენს სახელმწიფო შესყიდვებში უცხო ენების მთარგმნელობით და სათარჯიმნო მომსახურებას.

3.2.2. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-11 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა შესაძლებლობები შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

უცხო ენებიდან ქართულ ენაზე და პირიქით ზეპირი სათარჯიმნო და წერილობითი მთარგმნელობითი მომსახურების მიღება შესაძლებელია მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, აღნიშნული მომსახურება მიეკუთვნება იმ მომსახურებათა კატეგორიას, რომლის მიღება დისტანციურად არის შესაძლებელი.

საჩივრის დასაშვებობის შესწავლის პროცესში, 2023-2025 წლების ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების ბაზარზე გამოცხადებული სახელმწიფო ტენდერების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ კონკრეტული ტენდერის შემთხვევაში სათარჯიმნო/მთარგმნელობითი მომსახურების გაწევის ადგილი არ არის დაკავშირებული მხოლოდ ერთ კონკრეტულ ადგილას ერთი კონკრეტული მომსახურების გაწევასთან, შესაბამისად ხელშეკრულების შესრულების ადგილის დაფარვის არეალი არ არის დაკონკრეტებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მომსახურების მიღების ადგილი შესაძლოა იყოს საქართველოს ნებისმიერი კონკრეტული ტერიტორია.

ამასთან, შემსყიდველების იდენტიფიცირების შედეგად იკვეთება, რომ ერთი მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციები არიან სახელმწიფო უწყებები, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებენ საქმიანობას, მაგ: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და ა.შ., მეორე მხრივ, კი უწყებები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია კონკრეტულ მუნიციპალიტეტთან ან/და რეგიონთან, თუმცადა ამ უკანასკნელებთან მიმართებითაც არ არის მომსახურების მიწოდების კონკრეტული არეალი დაზუსტებული, რის საფუძველზეც უნდა ვივარაუდოთ, რომ მომსახურების მიწოდება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას საჭიროების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უცხო ენების სათარჯიმნო/მთარგმნელობითი მომსახურების პროდუქციული ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებს წარმოადგენს საქართველოს მთელი ტერიტორია.

3.2.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო

დროით ჩარჩოსთან მიმართებაში სააგენტო განმარტავს, რომ ბაზარი ფუნქციონირებს უწყვეტად, წელიწადის ნებისმიერ დროს, მოთხოვნის შესაბამისად, ამიტომ ბაზარს სპეციფიკური დროითი ჩარჩო არ გააჩნია.

3.3. შეფასება კანონის მე-6 მუხლის საგარეუდო დარღვევასთან მიმართებით

3.3.1. ზოგადი მიმოხილვა

განსახილველი საჩივარი, მათ შორის, ეხება კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევას, რაც მომჩივანის განმარტებით გამოიხატება სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, კონკურენტი კომპანიების გამარჯვების გამორიცხვის მიზნით, არასამართლიანი ფასით ოპერირებაში. ამასთან, მომჩივანი მიიჩნევს, რომ მოპასუხე კომპანიები წარმოადგენენ ურთიერთდაკავშირებულ პირებს და მოქმედებენ, როგორც ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი.

აღსანიშნავია, რომ დასაშვებობის ეტაპზე აუცილებელია არსებობდეს იმის გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა კანონის მე-6 მუხლის დისპოზიციის დისპოზიციის ნორმის დარღვევის გონივრული ეჭვი კი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ:

1. ქმედება ხორციელდება ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ;
2. ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

ამდენად, გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს ერთი მხრივ, დომინანტური მდგომარეობის ქონასა და მეორე მხრივ, ისეთი ქმედების განხორციელებასთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. იმისათვის, რომ დადგეს ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, საჭიროა ორივე ძირითადი პირობის კუმულატიურად არსებობა. აღნიშნულთაგან რომელიმე წინაპირობის არარსებობის შემთხვევაში კი ბუნებრივია, რომ სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დაიწყოს საქმის მოკვლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის მე-6 მუხლთან მიმართებაში, სააგენტოს პირველადი შეფასების უმთავრეს საგანს წარმოადგენს ის, თუ რამდენადაა ყოველ

კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე დასახელებული ორი წინაპირობის კუმულატიურად არსებობის ფაქტი.

3.3.2. ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

„ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა კანონის მე-6 მუხლის მიზნებისთვის გამოიყენება იმის დასადგენად, მოპასუხე კომპანიები მოქმედებდნენ თუ არა როგორც ერთი სუბიექტი.

„ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ ცნების საკანონმდებლო განმარტებას ქართული კანონმდებლობა მართალია არ იცნობს, თუმცა ევროკავშირის კანონმდებლობა და სასამართლოების პრაქტიკა გვამღვეს მისი განმარტებისა და გამოყენების სათანადო მაგალითებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დადგენა, როგორც წესი, ავტომატურად არ ნიშნავს მათ მიჩნევას ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად.

სააგენტოს შეფასებით, რამდენიმე პირის ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად შერაცხვის საკითხის განხილვისას, შესამოწმებელ უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს კონკრეტული კომპანიის რეალური ავტონომიისა და კომპანიის მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში ავტონომიის მაღალი ხარისხის არსებობა შესაძლებელია მაშინაც, თუ დაკმაყოფილებულია ურთიერთდამოკიდებულების წინაპირობები კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, მომჩივანი აპელირებს იმაზე, რომ მოპასუხე კომპანიები ურთიერთდაკავშირებული პირები არიან.

აღსანიშნავია, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, სააგენტოს მხრიდან ინფორმაციის დამუშავების შედეგად, რომელიც მოიცავდა მოპასუხე ეკონომიკურ აგენტების ურთიერთმიმართების, მათ შორის, ხელმძღვანელი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების კავშირებს, გამოიკვეთა, შპს „თრანსლეთ ჰაბისა“ და შპს „ვორდსფეისის“ კავშირი: კერძოდ, შპს „ვორდსფეისი“ დაფუძნდა 2024 წლის 05 ივლისს და კომპანიის დირექტორად ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დაინიშნა ლუიზა ქურხული 2026 წლის 16 იანვარს განხორციელდა ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი მქონე პირის ცვლილება და ერთპიროვნულ დირექტორად დაინიშნა გიორგი ბაჯელიძე. შესაბამისად, აღნიშნულ თარიღამდე, კერძოდ, 2024 წლის 5 ივლისიდან 2026 წლის 16 იანვრამდე შპს „ვორდსფეისის“ დირექტორის პოზიციას ლუიზა ქურხული იკავებდა. ამავდროულად, ლუიზა ქურხული წარმოადგენს

დამფუძნებელსა და 40%-იანი წილის მქონე პარტნიორს მოპასუხე კომპანია შპს „თრანსლეთ ჰაბში“¹⁶.

შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საგადასახადო კოდექსის 19-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტის მიხედვით, ურთიერთდამოკიდებულებად ითვლებიან პირები, თუ ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ-საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი შეადგენს არანაკლებ 20 პროცენტს;

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, 2024 წლის 5 ივლისიდან 2026 წლის 16 იანვრამდე პერიოდში, შპს „თრანსლეთ ჰაბი“ და შპს „ვორდსფეისი“ არიან ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები.

საგულისხმოა, რომ სააგენტოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, კომპანიებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დადგენა ავტომატურად არ ნიშნავს მათ მიჩნევას ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად. ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დასადგენად, ასევე, აუცილებელია შეფასდეს ავტონომიურობის ხარისხი და კომპანიის მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ შპს „თრანსლეთ ჰაბის“ რეგისტრაციის თარიღიდან კერძოდ, 2022 წლის 29 მარტიდან დღემდე¹⁷ კომპანიის ერთპიროვნულ დირექტორად ფიქსირდება ლუიზა ქურხული, ამის პარალელურად, 2024 წლის 5 ივლისიდან 2026 წლის 16 იანვრამდე შპს „ვორდსფეისის“ დირექტორის პოზიციას ლუიზა ქურხული იკავებდა. ამგვარად, 2024 წლის 05 ივლისიდან 2026 წლის 16 იანვრამდე პერიოდში შპს „ვორდსფეისისა“ და შპს „თრანსლეთ ჰაბს“ ჰყავდათ ხელმძღვანელობასა და ერთპიროვნულ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ერთი და იმავე პირი - ლუიზა ქურხული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე კომპანიები წარმოადგენენ ერთი ფიზიკური პირის მიერ სრულად კონტროლირებულ ეკონომიკურ აგენტებს, რომელთაც რეალური ავტონომია არ გააჩნიათ, კერძოდ, ამ კომპანიებს აკონტროლებს თავად ლუიზა ქურხული და პრაქტიკულად ერთი და იგივე საქმიანობისთვის/მიზნებისთვის იყენებს, ამასთანავე, თავადვე განსაზღვრავს მათ სამოქმედო კურსსა თუ ყოველდღიური ბიზნეს საქმიანობის მიმართულებებს.

ერთი პირის მიერ მართულ ურთიერთდამოკიდებულ პირებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინსტრუქციას შეიცავს საქმე 170/83, Hydrotherm v. Compact. საიდანაც იკვეთება, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ერთი ფიზიკური პირის მიერ სრულად კონტროლირებულ ეკონომიკურ აგენტებს განიხილავს ერთ ეკონომიკურ სუბიექტად. შესაბამისად, ევროკავშირის მიდგომით, თუ ხელშეკრულება მოიცავს

¹⁶ რეგისტრაციის თარიღი: 29/03/2022

¹⁷ 11/03/2026

ეკონომიკურ აგენტებს, რომლებსაც აქვთ იდენტური ინტერესები და კონტროლდებიან ერთი და იმავე ფიზიკური პირის მიერ, რომელიც, ასევე, წარმოადგენს [კომისიისთვის შეტყობინებული] ხელშეკრულების მხარეს, ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ხელშეკრულების ერთ მხარეს მონაწილე პირებს შორის კონკურენცია შეუძლებელია.¹⁸

ზემოთ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი იძლევა საშუალებას, რომ 2024 წლის 05 ივლისიდან 2026 წლის 16 იანვრამდე პერიოდში შპს „თრანსლეთ ჰაბი“ და შპს „ვორდსფეისი“ ჩათვალოს ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად, რადგან ორივე კომპანიის ქმედების კურსსა და საქმიანობის პროცესზე არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ერთი და იგივე ფიზიკურ პირს - ლუიზა ქურხულს.

რაც შეეხება დანარჩენ ორ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს (შპს „ნიუ თრანსლეთიშენ“; შპს „თიემენ გრუპი“), მომჩივანის განმარტებით, შპს „თიემენ გრუპის“ დირექტორი, წარმოადგენს შპს „ვორდსფეისისა“ და შპს „თრანსლეთ ჰაბის“ ხელმძღვანელი პირების შვილების ნათლიას, რაც, მისი მოსაზრებით, მიუთითებს აღნიშნულ კომპანიებს შორის კავშირის არსებობაზე. ამასთან, მომჩივანს არ წარმოუდგენია არგუმენტაცია ან/და მტკიცებულება, რომელიც დაასაბუთებდა შპს „თიემენ გრუპის“ დაკავშირებულობას სხვა ეკონომიკურ აგენტებთან.

აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტო მიუთითებს, რომ წარმოდგენილი გარემოება თავისთავად არ არის საკმარისი კომპანიებს შორის ურთიერთდაკავშირებულობის დასადგენად. ამასთან, მომჩივანს არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულებები ან/და დასაბუთება, რომელიც დაადასტურებდა შპს „თიემენ გრუპის“ და შპს „ნიუ თრანსლეთიშენის“ დაკავშირებულობას სხვა ეკონომიკურ აგენტებთან, მათ შორის ისეთი სახის კოორდინაციას ან ურთიერთზემოქმედებას, რომელიც ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის არსებობაზე მიუთითებდა. შესაბამისად, ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის ნაწილში, შპს „ნიუ თრანსლეთიშენი“ და შპს „თიემენ გრუპი“ არ იქნება გათვალისწინებული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო უთითებს, რომ წინამდებარე საჩივრის ფარგლებში შპს „თრანსლეთ ჰაბი“ და შპს „ვორდსფეისი“ წარმოადგენენ ერთიან ეკონომიკურ აგენტს (2024 წლის 05 ივლისიდან 2026 წლის 16 იანვრამდე პერიოდში) და განიხილებიან როგორც ერთიანი მოპასუხე სუბიექტი, ხოლო შპს „თიემენ გრუპი“ და შპს „ნიუ თრანსლეთიშენი“ განიხილებიან დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებად და ცალკეულ მოპასუხეებად.

¹⁸ საქმე 170/83, Hydrotherm v. Compact, პარა 10-12 (იხ. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61983CJ0170>)

3.3.3. მოპასუხე ეკონომიკური აგენტების დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე

ა) ზოგადი მიმოხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია.

როგორც ევროსასამართლომ დაადგინა, დომინანტური მდგომარეობა ფორმირდება რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობით, მაშინ, როდესაც ცალკე აღებული ფაქტორი დომინანტური მდგომარეობის დადგენისათვის შესაძლებელია არ იყოს გადამწყვეტი.¹⁹ თუმცა, ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილია. ამდენად, იმის დასადგენად, მოპასუხეს უკავია თუ არა დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე, უნდა განისაზღვროს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე (როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფურად).

ბ) მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი

სააგენტოს მიერ მოძიებული და დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ, საქართველოს მასშტაბით უცხო ენების სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების სახელმწიფო ტენდერების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების სახელშეკრულებო ღირებულების ანალიზის შედეგად, მოპასუხეების წილები შემდეგნაირად გამოიყურება:

- 2023 წელი²⁰:

1. შპს „თრანსლეთ ჰაბი“ - %;
2. შპს „ნიუ თრანსლეთიშენი“ - %;

¹⁹ საქმე 27/76 United Brands Company v Commission, 66-ე პარაგრაფი (იხ. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61976CJ0027>)

²⁰ მომჩივანის - შპს „მულტილინგვისტის“ საბაზრო წილი 2023 წელს შეადგენს %-ს

3. შპს „თიემენ გრუპი“ – %.²¹

- 2024 წელი²²:

1. ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი (შპს „თრანსლეთ ჰაბი“ (%) და შპს „ვორდსფეისი“ (%)) - %;

2. შპს "თიემენ გრუპი" - %;

3. შპს „ნიუ თრანსლეთიშენი“ – %.

- 2025 წელი²³:

1. ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი (შპს „თრანსლეთ ჰაბი“ (%) და შპს „ვორდსფეისი“ %)) - %;

2. შპს "თიემენ გრუპი" – %;

3. შპს "ნიუ თრანსლეთიშენი" %.

რაც შეეხება ამავე ბაზარზე სახელმწიფო ტენდერების რაოდენობრივი ანალიზს, მოცემულობა შემდეგნაირია:

ზემოთ აღნიშნული მოცემულობიდან გამომდინარე აშკარაა, რომ მოპასუხეების (მათ შორის ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის) წილი ბოლო 2023-2025 წლიან პერიოდში,

²¹ ვინაიდან შპს „ვორდსფეისი“ დაფუძნდა 2024 წელს, 2023 წლის მდგომარეობით ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი არ არსებობდა

²² მომჩივანის - შპს „მულტილინგვისტის“ საბაზრო წილი 2024 წელს შეადგენს %-ს

²³ მომჩივანის - შპს „მულტილინგვისტის“ საბაზრო წილი 2025 წელს შეადგენს %-ს

თითოეული წლის მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მნიშვნელოვნად ჩამორჩება კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტში მოცემულ 40 პროცენტთან ნიშნულს. ამასთან, მოპასუხე ეკონომიკური აგენტები ვერ აკმაყოფილებენ ვერც ჯგუფური დომინანტობის განმსაზღვრელ პირობებს - ჯამურად ბაზრის 50%-ის დაკავების პირობას (თითოეული არანაკლებ 15%).

შესაბამისად, სააგენტო მიუთითებს, რომ კანონის მე-6 მუხლის ორი წინაპირობიდან პირველი არ არის დაკმაყოფილებული (ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე). კონკურენციის კანონმდებლობისა და სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის²⁶ მიხედვით კი, შეუძლებელია სახეზე იყოს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება იმ ეკონომიკური აგენტების მხრიდან, რომლებსაც შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა საერთოდ არ გააჩნიათ. ამასთან, არ იკვეთება სხვა ისეთი გარემოება, რომელიც მოპასუხეებს საშუალებას აძლევს, იმოქმედოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს კონკურენცია. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არც ერთ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს (ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად) სახელმწიფო შესყიდვებში მთარგმნელობით და სათარჯიმნო მომსახურების ბაზარზე არ უკავია დომინანტური მდგომარეობა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტო მიუთითებს, რომ კანონის მე-6 მუხლის ორი წინაპირობიდან პირველი არ არის დაკმაყოფილებული (ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე). კონკურენციის კანონმდებლობისა და სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით კი, შეუძლებელია სახეზე იყოს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება იმ ეკონომიკური აგენტების მხრიდან, რომლებსაც შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა არ უკავიათ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით საჩივარი ვერ აკმაყოფილებს მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს, კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, სახეზე არ არის სადავო

²⁶ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 3 ივნისის №04/179 ბრძანება; საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 23 იანვრის №04/15 ბრძანება; საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 მარტის №43 ბრძანება; საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №04/162

ნორმის შემადგენლობა და კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

3.4. შეფასება კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

იმისათვის რომ დადგინდეს კანონის მე-7 მუხლის დარღვევას აქვს თუ არა ადგილი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სააგენტო აფასებს, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული აღნიშნული მუხლის წინაპირობები. დასახელებული ნორმის წინაპირობები კი დაკმაყოფილებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტების ან აგენტთა ასოციაციის მიერ დადებულ ხელშეკრულებას, მიღებულ გადაწყვეტილებას ან განხორციელებულ შეთანხმებულ ქმედებას, მიზნის ან/და შედეგის სახით აქვს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, სადავო ქმედება შესაძლოა ჩადენილ იქნეს მინიმუმ ორი აგენტის მიერ განხორციელებული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით. იმისათვის, რომ დადგინდეს ეკონომიკური აგენტების ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი, საჭიროა შემდეგი ელემენტების/პირობების/გარემოებების ერთობლივად არსებობა:

ა) ეკონომიკური აგენტები ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია;

ბ) ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დადებული ხელშეკრულება, მიღებული გადაწყვეტილება ან განხორციელებული შეთანხმებული ქმედება;

გ) დადებული ხელშეკრულების, მიღებული გადაწყვეტილების ან განხორციელებული შეთანხმებული ქმედების მიზანი ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.

მომჩივნის არგუმენტაციის მიხედვით, მოპასუხე კომპანიები სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებში მონაწილეობენ კოორდინირებულად: ისინი შეთანხმებულად აფიქსირებენ დაბალ ფასებს და ერთ-ერთი კომპანიის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში ტენდერში მონაწილეობას აგრძელებს მეორე, რაც, მომჩივნის შეფასებით, ამცირებს სხვა კონკურენტი კომპანიების გამარჯვების შესაძლებლობას.

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს მიერ, მოძიებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან 2023-2025 წლების პერიოდზე, მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ბაზარზე გამოცხადებული ტენდერების (კლასიფიკატორის კოდი: 79530000; 79540000) სტატისტიკა. აღნიშნული მონაცემების

ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა არაერთი ტენდერი, სადაც მოპასუხე კომპანიებთან შედარებით უფრო დაბალი ან ყველაზე დაბალი ფასი თავად მომჩივან კომპანიას ჰქონდა დაფიქსირებული. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ ბაზარზე კონკურენციის პროცესში მომჩივანი თავადაც აქტიურად იყენებს დაბალი ფასის სტრატეგიას, ამასთან არ არის გამოკვეთილი ისეთი გარემოება, რომელიც მოპასუხე კომპანიების მხრიდან კოორდინირებული ფასების განსაზღვრას დაადასტურებდა. შესაბამისად, მხოლოდ დაბალი ფასების შეთავაზება თავისთავად ვერ ჩაითვლება კომპანიებს შორის კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების არსებობის მტკიცებულებად, სხვა ფაქტობრივი გარემოებებისა თუ მტკიცებულებების არარსებობის პირობებში.

მომჩივანი ასევე მიუთითებს რიგ ტენდერებში მოპასუხე კომპანიების დისკვალიფიკაციის ფაქტებზე, თუმცა ვერ მიუთითებს, თუ რა კავშირშია აღნიშნული გარემოება კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევასთან. სახელმწიფო შესყიდვების პროცესში პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის ფარგლებში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია სატენდერო მოთხოვნების შეუსრულებლობასთან ან სხვა პროცედურულ გარემოებებთან და თავისთავად არ მიუთითებს პრეტენდენტებს შორის კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებული ქმედების არსებობაზე.

ამასთან, მომჩივნის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ეფუძნება ძირითადად ვარაუდებს და არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მოპასუხე კომპანიებს შორის კარტელური შეთანხმების არსებობას ან მათ მიერ ტენდერებში კოორდინირებულ მოქმედებას. კონკურენციის სამართლის პრაქტიკაში შეთანხმებული ქმედების არსებობის დასადგენად აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებს კომპანიებს შორის კომუნიკაციას, ინფორმაციის გაცვლას ან წინასწარ შეთანხმებულ ქცევას. წარმოდგენილ შემთხვევაში მსგავსი სახის მტკიცებულებები მომჩივნის მიერ არ არის წარმოდგენილი.

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს მხრიდან იდენტიფიცირებულ იქნა ტენდერები, სადაც მოპასუხე კომპანიებთან შედარებით უფრო დაბალ ან ყველაზე დაბალ შეთავაზებას თავად მომჩივანი კომპანია ახორციელებდა.²⁷ ამასთან, მომჩივანის მხრიდან არ იქნა წარმოდგენილი არანაირი სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხე კომპანიებს შორის კარტელური შეთანხმების არსებობას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-7 მუხლთან

²⁷ ელექტრონული ტენდერები: NAT240015772; NAT250019916; NAT240015772; NAT240011670; NAT240000802; NAT230005050; NAT220020113; NAT240019322; NAT240015772; NAT250004640

მიმართებით საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილი მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, კერძოდ, მომჩივანმა მტკიცების ტვირთის ფარგლებში ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა შესაბამისი გონივრული ეჭვის სტანდარტი, ვინაიდან არ წარმოუდგენია საჩივარში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

3.5. შეფასება კანონის მე-10 მუხლის ბ) ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით

სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში მომჩივანი მიუთითებს, რომ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხრიდან დაირღვა კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც კრძალავს ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესებას, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას. მომჩივანის განმარტებით, აღნიშნული გამოიხატება სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევაში და ტენდერების მიმდინარეობისას გამოვლენილ შესაძლო დარღვევებზე სათანადო და დროული რეაგირების არქონაში.

ა) სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, როგორც კანონის მე-10 მუხლის სუბიექტი

კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის და სხვა ადმინისტრაციული ორგანო. შესაბამისად, მოპასუხე ჩაითვლება ამ მუხლის სუბიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს დასახელებული ორგანოებიდან ერთ-ერთს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს „ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების

უფლებამოსილების მქონე ორგანოა ამ კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და იგი მიიჩნევა კანონის მე-10 მუხლის სუბიექტად.

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ქმედების მიმართება კანონის მე-10 მუხლთან

კანონის მე-10 მუხლი, კანონის მიზნის, კერძოდ, კონკურენციის პროცესის დაცვას უზრუნველყოფს იმ თვალსაზრისით, რომ კრძალავს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოების მიერ, საჯარო უფლებამოსილების გამოყენების გზით, რაიმე სახის ბარიერის შექმნას ან რაიმე სახის შერჩევითი უპირატესობის მინიჭებას რომელიმე ეკონომიკური აგენტისთვის. ხსენებული მუხლის ყველა სპეციალური შემადგენლობა სწორედ ამ ძირითადი მიზნის დაცვას ემსახურება და ცდილობს უზრუნველყოს კონკურენციის სამართლიანი პროცესი, როგორც ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობა, რომ ერთმანეთს ჯანსაღ გარემოში გაუწიონ პაექრობა, ხოლო ამ პაექრობის შედეგი დამოკიდებული იყოს ობიექტურ გარემოებებზე და არა კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს სუბიექტურ მიდგომაზე. ამდენად, სწორედ ეს პრინციპები უნდა იყოს გათვალისწინებული სააგენტოს მიერ, რათა შეფასდეს, არის თუ არა გონივრული ექვი კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში, სააგენტო განმარტავს, რომ იგი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს და წყვეტს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის შემთხვევებს და მის უფლებამოსილებაში არ შედის სხვა უწყების/ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის განხილვა, თუ ეს არ გულისხმობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევას. საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მომჩივანი არ ასახელებს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კონკრეტულ ადმინისტრაციულ აქტს, გადაწყვეტილებას ან/და ქმედებას, რომელიც შესაძლოა ქმნიდეს დისკრიმინაციულ პირობებს, აწესებდეს გადაულახავ ან არაპროპორციულ ბარიერს ან შერჩევით უპირატესობას ანიჭებდეს რომელიმე ეკონომიკურ აგენტს.

მომჩივანის პრეტენზია და არგუმენტაცია არსებითად ეფუძნება მოსაზრებას, რომ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შესყიდვის პროცესის მონიტორინგისას მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება არაჯეროვნად განახორციელა. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში მომჩივანი სადავოდ ხდის არა კონკურენციის დარღვევას კონკრეტული ქმედების ან გადაწყვეტილების სახით, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებისა და დისკრეციის არაჯეროვნად განხორციელებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (ამ შემთხვევაში - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო) მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ჯეროვნად, სრულად და ეფექტიანად განხორციელების შეფასება, არ წარმოადგენს სააგენტოს კომპეტენციას და მოცემული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განსახილველ საკითხს.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ახორციელებს შესყიდვების პროცესის მონიტორინგს და უზრუნველყოფს ისეთი პრინციპების დაცვას, როგორცაა საჯაროობა, სამართლიანობა, არადისკრიმინაციულობა. აღნიშნული ფუნქციების შესრულების ხარისხის შეფასება, თუკი არ არის წარმოდგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები საჯარო უფლებამოსილების გამოყენებით კონკურენციის შეზღუდვის შესახებ, სცილდება კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებასა და მტკიცებულებებს, რომლებიც შექმნიდა გონივრულ ეჭვს, რომ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებამ გამოიწვია კონკურენციის შეზღუდვა, ბაზარზე ბარიერის შექმნა ან/და შერჩევითი უპირატესობის მინიჭება რომელიმე ეკონომიკური აგენტისთვის. ამგვარად, მოცემულ ნაწილში არ იკვეთება კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ნიშნები.

3.6. შეფასება კანონის მე-11³ მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

წარმოდგენილ საჩივარში აგრეთვე საუბარია მოპასუხეების მხრიდან კანონის 11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, კერძოდ, მომჩივანის მითითებით, მოპასუხეები ახორციელებენ ზეწოლას თარჯიმნებზე და ტენდერებში იყენებენ ისეთი პირის მონაცემებს, რომელიც, მისი შეფასებით, არ აკმაყოფილებს სატენდერო მოთხოვნებს, რაც შესაძლოა იწვევდეს შემსყიდველი ორგანიზაციის შეცდომაში შეყვანას.

საჩივრის ავტორი უთითებს კანონის 11³ მუხლის მე-2 „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე. შესაბამისად, აღნიშნულ მუხლთან მიმართებითაც საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყებისთვის საჭიროა:

- ა) კანონის 11³ მუხლით დადგენილი პირობების კუმულატიურად არსებობა;
- ბ) გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილება.

ა) კანონის 11³ მუხლი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევს ეკონომიკური აგენტის ისეთ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს. შესაბამისად, კანონის 11³ მუხლის მიზნებისათვის, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიჩნევისათვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:

1. ქმედება;
2. ქმედების საქმიანი ეთიკის ნორმების საწინააღმდეგო ხასიათი;
3. ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;
4. ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს.

ქმედება - ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

წინააღმდეგობა საქმიანი ეთიკის ნორმებთან - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც ზოგადად ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. თუმცა, საქართველოში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამავდროულად, სააგენტო აღნიშნულ კრიტერიუმს აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტესწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვ.²⁸

კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვა - კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლის განჩინება, საქმე Nას-1184-1145-2016, პუნქტი 38, იხ. <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/58618/1> [ბოლო ნახვა 03.02.2026]

მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

მომხმარებელთა ინტერესის შელახვა - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს სპეციალურ ცნებას „მომხმარებელი“, თუმცა აღნიშნული ტერმინი განმარტებულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას. ამდენად, კონკურენციის კანონმდებლობა მომხმარებლად მიიჩნევს როგორც ფიზიკურ ასევე, იურიდიულ პირს. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა, კერძოდ, 2005 წლის 11 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივა „შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“, მომხმარებელს განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებულ კომერციულ პრაქტიკაში მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს, სახელოსნო ან პროფესიული ინტერესების გარეთ“ (მუხლი 2(a)).²⁹

ბ) როგორც ზემოთ აღინიშნა, სააგენტო საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე ამოწმებს არსებობს თუ არა საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. შესაბამისად, საჩივარში მითითებულ კანონის 11³ მუხლის სავარაუდო დარღვევაზე მოკვლევის დაწყების აუცილებელ პირობას წარმოადგენს გონივრული ეჭვის სამართლებრივი სტანდარტის დაკმაყოფილება. ყოველი კონკრეტული საჩივრის შემთხვევაში, საქმის მოკვლევის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ამ სტანდარტს.

როგორც უკვე აღინიშნა, მომჩივანს ეკისრება მტკიცების ტვირთი და იგი ვალდებულია საჩივარში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, რაც სააგენტოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაშიც არ არის სახეზე. მომჩივანი მიუთითებს, რომ მოპასუხე კომპანიები ახორციელებდნენ ზეწოლას თარჯიმნებზე და უკრძალავდნენ მათ სხვა კომპანიებთან თანამშრომლობას. აღნიშნული

²⁹ ანალოგიური მიდგომა გამოყენებულია სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის N04/186, 2016 წლის 28 მარტის №41 და 2022 წლის 20 სექტემბრის №04/193 ბრძანებებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებებში

გარემოების დასადასტურებლად მომჩივანს წარმოდგენილი აქვს ერთ-ერთ თარჯიმანთან - ელექტრონული მიმოწერის ამონარიდები (ეკრანული ანაბეჭდები). თუმცა, წარმოდგენილი მასალა არ შეიცავს ისეთ შინაარსობრივ ელემენტებს, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა ზეწოლის, მუქარის ან სხვაგვარი ზეგავლენის ფაქტის დადასტურებას. წარმოდგენილ მიმოწერებში იკვეთება ცალკეული თარჯიმნის გადაწყვეტილება მომჩივანთან თანამშრომლობის არდაწყების შესახებ, თუმცა არ ჩანს ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი თუ მოტივი. მიმოწერიდან არ იკვეთება ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც ობიექტურად დაადასტურებდა თარჯიმნის თავისუფალი ნების შეზღუდვის ფაქტს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ზეწოლა არსებითად გულისხმობს პირის ნების ფორმირებაზე არამართლზომიერი გავლენის მოხდენას, რაც, თავისი არსით, წარმოადგენს მტკიცების მაღალ სტანდარტს დაქვემდებარებულ გარემოებას. მსგავსი ფაქტის დადგენა საჭიროებს მკაფიო, არაორაზროვან მტკიცებულებებს, რომლებიც ობიექტურად დაადასტურებს იძულების, მუქარის ან/და სხვა სახის არამართლზომიერი ზეგავლენის განხორციელებას. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი ბუნდოვანი და ფრაგმენტული მიმოწერის ამონარიდები არ ქმნის საკმარის საფუძველს იმის დასადგენად, რომ თარჯიმნის მხრიდან მომჩივანთან თანამშრომლობაზე უარის თქმა მოპასუხეთა მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შედეგად იყო განპირობებული. შესაბამისად, ამ ნაწილშიც ვერ დამტკიცების ტვირთი მომჩივანმა.

გარდა ამისა, თავად მომჩივანი მიუთითებს, რომ სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების გამწევი პირები შესაბამის ბაზარზე საქმიანობენ როგორც ფიზიკური პირები ან ინდივიდუალური მეწარმეები, მათთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება და ისინი თავად წყვეტენ, რომელ ბიუროსთან ითანამშრომლებენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაუგებარი და დაუსაბუთებელია, რა საფუძველით მიიჩნევენ მომჩივანი თარჯიმნის გადაწყვეტილებას არაბუნებრივად, მაშინ როდესაც თავადვე აღიარებს ამ პირთა პროფესიულ დამოუკიდებლობასა და სახელშეკრულებო ავტონომიას.

წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში, მომჩივანი ასევე მიუთითებს, რომ მოპასუხეები ტენდერებში იყენებენ ისეთი პირის მონაცემებს, რომელიც, მისი შეფასებით, არ აკმაყოფილებს სატენდერო მოთხოვნებს, რის შედეგადაც შემსყიდველი ორგანიზაციები შეჰყავთ შეცდომაში და ამ გზით იმარჯვებენ ტენდერებში. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადგენილი პროცედურული და ტექნიკური მოთხოვნების დაცვის შეფასება მის კომპეტენციას არ განეკუთვნება. კერძოდ, საკითხები, რომლებიც უკავშირდება სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვის წესების დაცვას, მონაწილე პირის კვალიფიკაციის შესაბამისობას კონკრეტული სატენდერო პირობებისადმი, აგრეთვე სხვა პროცედურულ და ტექნიკურ ასპექტებს, წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირების სფეროს და ექვემდებარება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს შეფასებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის 11³ მუხლთან მიმართებით მომჩივანმა ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა მტკიცების ტვირთი, რის გამოც საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს. კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. სააგენტო აღნიშნული მიზნით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შეზღუდულია ამ საჩივრის შინაარსით, ხოლო მომჩივანს ეკისრება ფაქტის მტკიცების ტვირთი. ამდენად, მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მასვე ეკისრება საჩივრის დასაბუთების ვალდებულება. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივნის და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზით ადგენს აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-6 და მე-7, მე-10 და მე-11³ მუხლებთან მიმართებით მომჩივანმა ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა მტკიცების ტვირთი, რის გამოც საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს. კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17¹ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის

წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა

1. დაუშვებლად იქნეს ცნობილი შპს „მულტილინგვისტის“ (ს/ნ 406372811) 2026 წლის 06 თებერვლის N01/1203 საჩივარი და 2026 წლის 25 თებერვლის N01/1831 დაზუსტებული საჩივარი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვიანიძე

თავმჯდომარე

